585/
1970/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

221

№ 7 (354)

1970 წლის ივლისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 7 (354) ივლისი 1970 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

11.363

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მიწის კანონმდებლობის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ

განყოფილება პირველი

115. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. დ. კიკნაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

116. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ვ. აბზიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

117. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ბ. აივაზოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

118. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ს. აკობიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

119. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. კ. გოგოძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

120. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. თ. ივანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. ჯონუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მიწის კანონმდებლობის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1968 წ., № 51 მუხ. 485) შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ თანამდებობის პირები, და მოქალაქეები, რომლებიც დამნაშავეები იქნებიან მიწის კანონმდებლობის შემდეგი დარღვევების ჩადენაში, დაჯარიმდებიან ადმინისტრაციული წესით:

სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიწების გაფუჭებაში, საწარმოო და სხვა ნარჩენებითა და ჩანადენი წყლებით მათს გაჭუჭყიანებაში, მიწების უყაირათოდ გამოყენებაში, იმ სავალდებულო ღონისძიებათა შეუსრულებლობაში, რომლებიც მიზნად ისახავენ მიწების გაუმჯობესებას და ნიადაგის დაცვას ქარისმიერი, წყლისმიერი ეროზიისა და სხვა პროცესებისაგან, რომლებიც აუარესებენ ნიადაგის მდგომარეობას, — თანამდებობის პირები 100 მანეთამდე;

იმ მიზნით მიწის ნაკვეთების გამოყენებაში, რომელიც არ შეესაბამება ამ ნაკვეთების დანიშნულებას, — თანამდებობის პირები 100 მანეთამდე;

დროებით დაკავებული მიწების არადროულად დაბრუნებაში ან იმ ვალდებულებათა შეუსრულებლობაში, რომლებიც ითვალისწინებენ ამ მიწების დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობაში მოყვანას, — თანამდებობის პირები 50 მანეთამდე.

დადგენილი წესით დამტკიცებული შიგასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტებისაგან სათანადო ნებართვის გარეშე გადახვევაში — თანამდებობის პირები 50 მანეთამდე;

მიწათსარგებლობის საზღვრების სამიჯნე ნიშნების მოსპობაში — მოქალაქეები 10 მანეთამდე.

თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული დარღვევების ჩადენაში, პასუხს აგებენ ადმინისტრაციული წესით, თუ ეს დარღვევები არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით.

2. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების ღონისძიებებს გამოიყენებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები. ადმინისტრაციული კომისიის მიერ მიწის კანონმდებლობის დარღვევის საქმის განხილვის საფუძველია აქტი, შედგენილი სსრ კავში-

№ 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მიწათმოწყობის სამსახურის რწმუნებით თანამდებობის პირის მიერ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.

1970 წლის 14 მაისი.

№ 5108-VII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

115 **ამხ. შ. დ. კიკნაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. შალვა დავითის ძე **კიკნაძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 31 ივლისი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

116 **ამხ. მ. ვ. აბზიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, მშრომელთა დეპუტატების წულუკიძის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მიხეილ ვლადიმერის ძე **აბზიანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 31 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

117 **ამხ. ლ. ბ. აივაზოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

მანქანათმშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, თბილისის ს. ორჯონიკიძის სა-

ბელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი ამხ. ლევან ბეგლარის ძე **აივაზოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 31 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

118 ამხ. შ. ს. აკობიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამწერლო მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, პოეტი შოთა სოფრომის ძე **აკობია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 31 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

119 ამხ. ვ. კ. გოგოძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვისა და პროფკავშირის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვახტანგ კალისტრატეს ძე **გოგოძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 31 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

120 ამხ. გ. თ. ივანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სამხრეთ ოსეთის ავტო-

ნომიური ოლქის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გალაქტიონ თევდორეს ძე **ივანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 31 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

121 ამხ. ა. ნ. ჯონუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი ამხ. ალექსი ნესტორის ძე **ჯონუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 31 ივლისი.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება კანონმდებლობა რესპუბლიკაში ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოძრაობის უსაშიშროების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებმა ამ ბოლო დროს რამდენადმე გააქტიურეს ბრძოლა ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოძრაობის უსაშიშროების წესების დარღვევის წინააღმდეგ. გაუმჯობესდა ავტოსაგზაო შემთხვევების საქმეთა გამოძიებისა და განხილვის ხარისხი. უფრო ოპერატიულად ირკვევა მოძრაობის უსაშიშროების წესების დამრღვევთა ვინაობა და მათ მიმართ გამოყენებული მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებანი.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გაიზარდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობა. ეს ზრდა განსაკუთრე-

№ 1

ბით შესამჩნევია წულუკიძის, ასპინძის, ყაზბეგის, ყვარლის, მესტიის, თიანეთის, ჩოხატაურის, გარდაბნის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს რაიონებში, ქუთაისსა და რუსთავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსაგზაო შემთხვევათა მნიშვნელოვანი რიცხვი იზრდება იმის შედეგად, რომ ტრანსპორტს მართავენ მთვრალი მძღოლები. 1969 წელს და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკაში გამოვლინებულია ხუთი ათასზე მეტი მთვრალი მძღოლი.

რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები ჯერჯერობით ჯეროვან კონტროლს არ უწევენ საქვეუწყებო ავტომეურნეობათა საქმიანობას, სათანადო მოთხოვნელობას არ იჩენენ ტრანსპორტის იმ მუშაკთა მიმართ, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა უსაშიშროების ტექნიკის წესების დაცვისა და ავტომობილების ტექნიკური მზადყოფნისათვის.

საწარმოებში, დაწესებულებებში, სკოლებში, სასწავლებლებში სათანადო მუშაობა არ ხორციელდება მოძრაობის წესების, სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების განმარტებისათვის.

ავტომეურნეობათა ხელმძღვანელების არასაკმარისი კონტროლის გამო ხშირად ხდება, რომ სამუშაოს დამთავრების შემდეგ მძღოლებს ავტომანქანები არ მიყავთ შესაბამის სადგომებში და მათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აჩერებენ, ეს კი ხელს უწყობს ავტომანქანების გატაცებისა და დანაშაულის ჩადენას.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ერთ-ერთი მიზეზია საავტომობილო გზებისა და ქუჩების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, სათანადო საგზაო ნიშნების უქონლობა და ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევა. ამის შედეგია, რომ საგზაო შემთხვევათა 30 პროცენტი გამოწვეულია ფეხით მოსიარულეთა მიზეზით.

დაბალია დისციპლინა მძღოლთა შორისაც. საკმარისია ითქვას, რომ 1969 წელს და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გამოვლინებულია 48 ათასი მძღოლი, რომლებმაც დაარღვიეს მოძრაობის უსაშიშროების წესები. აქედან 12,5 ათას კაცს სხვადასხვა ვადით ჩამოერთვა ავტომობილის ტარების უფლება, მათ შორის ხუთი ათასზე მეტ კაცს იმის გამო, რომ მთვრალები მართავდნენ ტრანსპორტს.

სახავტოინსპექციის ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს იმას, რომ მოძრაობის უსაშიშროების წესების ყველა დამრღვევი მისცენ პასუხისგებაში. ხშირად დამრღვევთა გამოვლინებისათვის არასწორად იყენებენ ბრძანებულებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებებს.

ხარვეზებია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა გამოძიების საქმეშიც. ზოგჯერ კრიმინალისტური ლაბორატორიის მუშაკები იძლევიან არაობიექტურ საექსპერტო დასკვნებს, არის შემთხვევები, როდესაც საგამოძიებო ორგანოებისა და ავტოინსპექციის მუშაკები ადგილზე დაგვიანებით მიდიან და არაკვალიფიციურად ამოწმებენ შემთხვევის ვითარებას, არღვევენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და წინასწარი გამოძიების ვადებს. სასამართლო ორგანოები

იშვიათად იყენებენ დამატებითი დასჯის სახით სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლების ჩამორთმევას.

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უმრავლესობა სუსტად ხელმძღვანელობს მიწაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობას, ნაკლებ ყურადღებას უთმობს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა თავიდან აცილების საკითხებს, არ სწავლობს ავტომეურნეობებში საქმის მდგომარეობას, ამ მუშაობაში არ აბამს საბჭოების მუდმივ კომისიებს, აქტივსა და საზოგადოებრიობას.

სახალხო სასამართლოებს პრაქტიკაში ნაკლებად აქვთ შემოღებული გამსვლელ სხდომებზე ავტოსაგზაო შემთხვევების საქმეთა განხილვა. ამ კატეგორიის საქმეებზე საზოგადოებრივ ბრალმდებლებად და დამცველებად იშვიათად გამოდიან მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები.

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები ჯეროვან კონტროლს არ უწევენ მოძარობის უსაშიშროების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის კანონმდებლობის შესრულებას, ნაკლებად შეაქვთ წარდგინებანი იმ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად, რომლებიც იწვევენ ამ წესების დარღვევას.

საქართველოს სსრ უმაღელსი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა აღმოფხვრას ამ კანონმდებლობის შესრულებაში არსებული ნაკლოვანებანი, მოსთხოვოს სახელმწიფო ინსპექციისა და საგამომძიებო ორგანოების ყველა მუშაკს თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში ზუსტად დაიცვან მოქმედი კანონები.

საჭიროა გავაუმჯობესოთ ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და ქუჩის მოძრაობის წესების პორპაგანდა, გავაცნოთ მოსახლეობას კანონმდებლობა ამ წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები უფრო აქტიურად და ქმედიდად მონაწილეობდნენ მოძრაობის უსაშიშროებისადმი კონტროლში, ფართოდ ჩავაბათ საზოგადოებრიობა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ მკვეთრად უნდა გააუმჯობესოს სასამართლო ორგანოების მიერ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების საქმეთა განხილვის ხარისხი. საქართველოს სსრ პროკურატურამ უნდა გააძლიეროს ზედამხედველობა მოქმედი კანონმდებლობის დაცვისადმი, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოძრაობის უსაშიშროების წესების დარღვევისათვის.

რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა უნდა გააუმჯობესონ მძღოლთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა, გადაჭრით ებრძოლონ ლოთობასა და შრომის დისციპლინის დარღვევას, შექმნან იმ პირთა მიმართ შეუწყნარებლობის ატმოსფერო, რომლებიც მთვრალი მართავენ ტრანსპორტს, არღვევენ მოძრაობის უსაშიშროების წესებს.

საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მოსწავლე ახალგაზრდობაში ქუჩის მოძრაობის წესების პროპაგანდასა და ამ წესების დარღვევისათვის პასუხისგებლობის კანონმდებლობის ახსნა-განმარტებას.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მოვალენი არიან სისტემატურად შეისწავლონ და განიხილონ საკითხები, თუ როგორ სრულდება ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოძრაობის უსაშიშროების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის კანონმდებლობა, ფართოდ ჩაებან ამ საქმეში მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი, გააძლიერონ შინაგან საქმეთა განყოფილებების საქმიანობის ხელმძღვანელობა, მეტი პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მათ მოძრაობის უსაშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის** მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილის დეპუტატ ი. ქარუმიძის ძოხსენება „მგზავრთა მომსახურების მდგომარეობა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებაში“.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურება ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებაში, დროულად ტარდება ვაგზლების, სადგურების, ასაქცევი ბაქნების, პავილიონებისა და სხვა ობიექტების კაპიტალური შეკეთება.

ამასთანავე აღინიშნა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მიერ მგზავრთა მომსახურებაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები.

ზოგ შემთხვევებში არ სრულდება სამგზავრო მატარებლების გრაფიკი.

ზოგიერთ ადგილობრივ და საგარეუბნო მატარებლებში მგზავრთა მომსახურება დაბალ დონეზეა, სამგზავრო ვაგონები ზოგჯერ დაუსუფთავებელია, არ მარაგდება ხარისხიანი თეთრეულით; ჯერ კიდევ არაა აღკვეთილი მგზავრების უბილეთოდ წაყვანის ფაქტები, საერთო სარგებლობის ვაგონები ხშირად გადატვირთულია მგზავრებით.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ვაგზლების მოედნების და მისასვლელი გზების კეთილმოწყობას, ნაკლოვანებებია ზოგიერთ რკინიგზის სადგურებსა და დასახლებული პუნქტების დამაკავშირებელი ტრანსპორტის მუშაობაში. კავშირგაბმულობის ორგანოებს ცუდად აქვთ მოწყობილი მომსახურება საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ბორჯომის და ზოგ სხვა სადგურებში.

ზოგიერთი სადოურის ბუფეტში (საგარეჯო, ქარელი, მარელისი, ხარაგო-ული, გურჯაანი, თელავი და სხვა) გამეფებულია ანტისანიტარია, დაბალია კვებ-ის პროდუქტების ხარისხი და ასორტიმენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები ვ. ნიჟარაძე, ვ. ნანეიშვილი, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი კ. ქავთარაძე, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსი ლ. ვარდოსანიძე და სხვ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნ. ბერიძემ.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **სახალხო განათლებისა და მეცნიერების** მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა მისი თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ვ. მერკვილაძის მოხსენება „მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობის მდგომარეობა რესპუბლიკაში". კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობაში მიღწეულია გარკვეული წარმატებანი.

სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილია სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით; ამაღლდა მოსწავლე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონე, შემცირდა მოსწავლეთა დენადობა და განთესვა, განმტკიცდა საღამოს სკოლების კავშირი საწარმოო-დაწესებულებებთან, გაუმჯობესდა მათი მატერიალური ბაზა.

წარმოება-დაწესებულებები სულ უფრო მეტ დახმარებას უწევენ საღამოს სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა „ჭიათურმარგანეცის" ტრესტი რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხანა და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, თბილისის კოტონის წინდის ფაბრიკა, გორის ბამბეულის კომბინატი, მახარაძის რაიონის სოფელ ბაილეთის კოლმეურნეობა და ავტოსატრანსპორტო კანტორა, ცხაკაიას რაიონის გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ხალიჩების საქსოვი კომბინატი, საკონსერვო ქარხანა და სხვ.

მუდმივი კომისიის სხდომაზე ამასთან ერთად აღინიშნა, რომ საღამოს სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს არსებით ნაკლოვანებებს.

1969-70 სასწავლო წელს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებმა ვერ შეასრულეს კონტინგენტის სწავლებაში ჩაბმის გეგმა. დაგეგმილი 374 სკოლის ნაცვლად ფაქტიურად მუშაობდა 355 სკოლა. ჯერ კიდევ დიდია იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებმაც სხვადასხვა შიზეზით თავი მიანებეს სწავლას. ბევრ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. გაუმჯობესებას საჭიროებს საღამოს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. სკოლებს აკლიათ სახელმძღვანელოები, მეთოდური ლიტერატურა და ცნობარები, ზოგიერთი მასწავლებელი კვალიფიციურად ვერ უძღვება გაკ-

ვეთილებს, ლიბერალურად ეკიდება მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას. ზოგ სკოლაში ჯერ კიდევ დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე, დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები: დეპუტატები: ა. ბლრციანი, მ. დავითაშვილი, ა. დოლმაზაშვილი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე უ. ობოლაძე, განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს უფროსი ვ. ჩინჩალაძე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროორექტორი ვ. ხუროშვილი და სხვ.

* * *

განხილული საკითხების გამო მუდმივმა კომისიებმა მიიღეს სათანადო დადგენილებანი.